



სს ნიკორა  
ს/კ 200050675  
contact@nikora.ge  
+995 32 269 55 50/51  
საქართველო, თბილისი  
0180, ბ. მრეველიშვილის ქ. #2  
[www.nikora.ge](http://www.nikora.ge)

№ .....  
.....

N: LNJ-23.05.2022-1

23 მაისი 2022 წელი

### შეტყობინება

სააქციო საზოგადოება "ნიკორა"-ს (ს/კ 200050675)  
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

ქ. თბილისი

23 მაისი 2022 წელი

➤ **საზოგადოების დასახელება/მისამართი:**

სს „ნიკორა“ (ს/კ 200050675), მისამართი: თბილისი, ა.მრეველიშვილის N2.

➤ **მოწვევის დრო/ადგილი:**

**2022 წლის 14 ივნისს 14:00 საათზე**, მოიწვევა სს „ნიკორას“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. საერთო კრების მოწვევის ადგილია, სს „ნიკორას“ იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა.მრეველიშვილის N2.

აქციონერები უფლებამოსილები არიან მითითებულ დროს უშუალოდ დაესწრონ საერთო კრებას ან/და გამოყენებულ იქნას წესდებით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები, რაზეც წინასწარ უნდა შეატყობინონ კომპანიის ხელმძღვანელ პირს შესაბამისი მზაობისთვის. თავიანთ ტექნიკურ უზრუნველყოფას თითოეული აქციონერი განახორციელებს დამოუკიდებლად.

➤ **სადრიცხვო თარიღი:** საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ საადრიცხვო დღისთვის. საერთო კრების საადრიცხვო თარიღია **2022 წლის 20 მაისი**.

აქციონერის, საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის კუთვნილი აქციათა და ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან \_ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“, მისამართი: თბილისი, მოსაშვილის N11 ან აქციონერი უფლებამოსილია მიმართოს სს „ნიკორას“ ხელმძღვანელს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გაცემული ინფორმაციის წარმოდგენისთვის.

➤ **საერთო კრების დღის წესრიგი:**

1. სს „ნიკორას“ აქციონერის, ვასილ სუხიაშვილის მიერ, პირველი რიგის მემკვიდრე(ებ)ზე შვილ(ებ)ზე, სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი აქციების სრულად ან ნაწილობრივ ჩუქების საკითხის განხილვა.
2. სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე, დივიდენდის განაწილება.
3. სს „ნიკორას“ მიერ ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციები) გამოშვება/განთავსება და შემდგომში მათი სავაჭროდ დაშვება.

➤ **საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის პროცურები:**

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. საერთო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად საჭიროა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია საერთო კრებაზე დასწრებით ან/და წესდებით დადგენილი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით.

➤ **საერთო კრების გახსნამდე რეგისტრაცია:**

საერთო კრების გახსნამდე, 14:00 საათამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაცია (აქციონერი, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, ქვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება).

სს „ნიკორას“

გენერალური დირექტორი:

ირაკლი ბოქოლიშვილი -----

23.05.2022